12/02/2021

მეუფე მიქაელი: ვაქცინაციასთან დაკავშირებით ჯერ ექიმები უნდა ჩამოყალიბდნენ

უბრალო წამალი რომ მიაწოდოთ თქვენს შვილს, ამაზე შეიძლება, ცხრა ექიმთან გადარეკოთ და იქიდან გამომდინარე იმსჯელოთ. დაახლოებით ხვდებით, ალბათ, რასაც ვგულისხმობ, – განაცხადა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა ვაქცინაციასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, ვაქცინაციასთან დაკავშირებით ჯერ ექიმები უნდა ჩამოყალიბდნენ.

„ვაქცინასთან დაკავშირებით ისევ იმავე აზრზე ვართ – ეს არის ნების თავისუფლება. როგორ შეიძლება, მე გითხრათ, გინდა თუ არა ეს გააკეთე ან გინდა თუ არა ის გააკეთე?! ან მე ვინ მეტყვის, გინდა თუ არა ეს გავაკეთო?! ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯერ ჩამოყალიბდნენ ის პროფესიონალი კომპეტენტური პიროვნებები, რომელთაც ეწოდებათ ექიმები. ეს თემა ჯერ მსოფლიოში არ დალაგებულა. ჩვენ მივდივართ ისევ იქ, რომ ყველაფერი უნდა დამტკიცდეს და ჩამოყალიბდეს. უბრალო წამალი რომ მიაწოდოთ თქვენს შვილს, ამაზე შეიძლება, ცხრა ექიმთან გადარეკოთ და იქიდან გამომდინარე იმსჯელოთ. დაახლოებით ხვდებით, ალბათ, რასაც ვგულისხმობ“, –

განაცხადა მეუფე მიქაელმა.

— imedinews.ge